

ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქ. N12 საცხოვრებელი სახლის
N28 ბინაზე, მოქალაქე ავთანდილ გაჩეჩილაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ავთანდილ გაჩეჩილაძის წარმომადგენლის ლიანა ჯიქიას /მცხ.9 აპრილის ქ. N7/3/ განცხადება /2013 წლის 17.07 №გ-7469/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N28 ბინა/, საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის მოქალაქე ავთანდილ გაჩეჩილაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ავთანდილ გაჩეჩილაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ზ.ცქიფურიშვილი/, ქალაქ ქუთაისში, ზ.ჭავჭავაძის ქუჩა N12 საცხოვრებელი სახლის N28 ბინაზე /საერთო ფართობი 61,985 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 36,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,985 კვ.მ./ მოქალაქე ავთანდილ გაჩეჩილაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

დ.კოპალიანი